

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2008 წლის განკარგულებები

# საძიებელი

N	განკარგულების სარეგისტრაციო ნომერი	განკარგულების მიღების თარიღი	განკარგულების სათაური	გვერდი
1.	N82	18.01.2008	„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის N22 განკარგულებაში ცვლილების თაობაზე	4
2.	N83	28.02.2008	„საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N14 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	5
3.	N84	28.02.2008	სოფელ საჯიჯაოს ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო გეგმის შესახებ	6
4.	N85	28.02.2008	სოფელ ხამისქურის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო გეგმის შესახებ	8
5.	N86	28.02.2008	„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 6 დეკემბრის N19 განკარგულებაში ცვლილებების შესახებ	10
6.	N87	28.02.2008	„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის N22 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების თაობაზე	12
7.	N88	28.02.2008	შპს „ხოზი დასუფთავება და განათება“-ს დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ	15
8.	N89	28.02.2008	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხოზი დასუფთავება და განათება“-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ	23
9.	N90	31.03.2008	„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის N22 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების თაობაზე	24
10.	N91	31.03.2008	„სოფელ ახალსოფლის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო გეგმის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N72 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ	25
11.	N92	31.03.2008	„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხოზი დასუფთავება და განათება“-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N89 განკარგულებაში ცვლილებების თაობაზე	27
12.	N93	30.04.2008	„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის N22 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების თაობაზე	28
13.	N94	30.04.2008	სოფელ პირველ მაისის ტერიტორიაზე უსახელო ქუჩისთვის მედეა ნაჭყებიას სახელის მინიჭების შესახებ	32
14.	N95	08.05.2008	„იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	33
15.	N96	08.05.2008	„ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N16 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	34
16.	N97	08.05.2008	„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის N22 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების თაობაზე	35
17.	N98	27.06.2008	„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	38
18.	N99	23.07.2008	„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის N22 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე	39
19.	N100	29.08.2008	„ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის N22 განკარგულებაში ცვლილების თაობაზე	43

20.	N101	29.09.2008	საკრებულოს წევრის - მალხაზ ბუბუტეიშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ	47
21.	N102	29.09.2008	„საფინანსო-სარევიზო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N14 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	48
22.	N103	29.09.2008	„ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N16 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	49
23.	N104	29.09.2008	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ	50
24.	N105	29.09.2008	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის არჩევისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ	51
25.	N106	28.10.2008	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის მალხაზ ბუბუტეიშვილის ადგილმონაცვლის ედიშერ ჯობავას უფლებამოსილების ცნობის შესახებ	52
26.	N107	24.11.2008	„ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის N16 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე	53
27.	N108	25.12.2008	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გაიოზ ქირიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ	54
28.	N109	25.12.2008	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის სექტემბრის N104 და N105 განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ	55
29.	N110	25.12.2008	სოფელ ხეთაში უსახელო ქუჩისა და მინი სტადიონისთვის ლევან ტურავასა და გიორგი ჭითანავას სახელების მინიჭების შესახებ	56
30.	N111	25.12.2008	ქ. ხობში ერთ-ერთი ქუჩისა და მინისტადიონისთვის მიხეილ იოსავასა და დათა ხურცილავას სახელების მინიჭების შესახებ	57
31.	N112	25.12.2008	სოფელ ქვემო ქვალონში ერთ-ერთი ქუჩისთვის გოგიტა ქარჩავას სახელის მინიჭების შესახებ	58



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №82**

**ქ. ხობი**

**2008 წლის 18 იანვარი**

**„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის №22  
განკარგულებაში ცვლილების თაობაზე“**

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის №22 განკარგულების დანართის I პუნქტი „წამყვანი საჯარო მოსამსახურე“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	სტრუქტურული ქვედანაყოფები და თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნება	თანამდებობრივი სარგო
	წამყვანი საჯარო თანამდებობა		
1	გამგებლის პირველი მოადგილე	1	830
2	გამგებლის მოადგილე	1	710
	<b>ს უ ლ</b>	<b>2</b>	

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

---

განკარგულება №83

ქ. ხობი

2008 წლის 28 თებერვალი

„საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის №14 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად:

1. „ საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 13 ნოემბრის №14 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს საკრებულოს წევრი იური ქაცარავა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №84

ქ. ხობი

2008 წლის 28 თებერვალი

სოფელ საჯიჯაოს ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში  
არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების  
საპრივატიზებო გეგმის შესახებ

„აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე:

1. მოწონებულ იქნეს სოფელ საჯიჯაოს ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო გეგმის პროექტი თანახმად დანართისა.

2. საპრივატიზებო გეგმის პროექტი დასამტკიცებლად და სპეციალური აუქციონის ჩატარების უზრუნველსაყოფად წარედგინოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

ზობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №84 განკარგულების დანართი

სოფელ საჯიჯაოს ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნუსხა

№	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა (ადმინისტრაციული ერთეული)	მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო ნომერი (რუქის შესაბამისად)	სავარგულის ტიპი	ფართობი ჰა-ში	ზარისხობრივი მაჩვენებლები (კარგი/მწირი)	მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ლარებში	მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონების დასახელება	მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონების ღირებულება ლარებში	საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი სულ ლარებში	„ბე“ მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის 30%
1	ზობის მუნიციპალიტეტი სოფ. საჯიჯაო	064	სასოფლო-სამეურნეო	0.18	კარგი	11.88	–	0	11.88	3.56

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №85

ქ. ხობი

2008 წლის 28 თებერვალი

სოფელ ხამისქურის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში  
არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების  
საპრივატიზებო გეგმის შესახებ

„აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე:

1. მოწონებულ იქნეს სოფელ ხამისქურის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო გეგმის პროექტი თანახმად დანართისა.

2. საპრივატიზებო გეგმის პროექტი დასამტკიცებლად და სპეციალური აუქციონის ჩატარების უზრუნველსაყოფად წარედგინოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



სოფელ ხამისჭურის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნუსხა

№	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა (ადმინისტრაციული ერთეული)	მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო ნომერი (რუქის შესაბამისად)	სავარგულის ტიპი	ფართობი ჰა-ში	ხარისხობრივი მაჩვენებლები (კარგი/მწირი)	მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ლარებში	მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონების დასახელება	მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონების ღირებულება ლარებში	საპრიორიტეტობო მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი სულ ლარებში	„ბე“ მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის 30%
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ზობის მუნიციპალიტეტი სოფ. ხამისჭური	100	სასოფლო-სამეურნეო	20,13	კარგი	1328,58	-	0	1328,58	398,57
2	ზობის მუნიციპალიტეტი სოფ. ხამისჭური	101	სასოფლო-სამეურნეო	19,44	კარგი	1283,04	-	0	1283,04	384,91
3	ზობის მუნიციპალიტეტი სოფ. ხამისჭური	102	სასოფლო-სამეურნეო	6,87	კარგი	453,42	-	0	453,42	136,03

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

---

განკარგულება №86

ქ. ხობი

2008 წლის 28 თებერვალი

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 6 დეკემბრის №19 განკარგულებაში ცვლილებების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 6 დეკემბრის №19 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურა

№	თანამდებობა	საშტატო ერთეული
I	აპარატის უფროსი	1
II	საორგანიზაციო განყოფილება	5
	მათ შორის:	
1	განყოფილების უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	2
3	წამყვანი სპეციალისტი	2
III	საქმისწარმოების განყოფილება	5
	მათ შორის:	
1	განყოფილების უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	2
3	წამყვანი სპეციალისტი	2
	<b>სულ</b>	<b>11</b>

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად სობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოსონელიძე/



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №87**

**ქ. ხობი**

**2007 წლის 28 თებერვალი**

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“  
 ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის №22  
 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების თაობაზე

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტისა და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის №22 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურა**

№	სტრუქტურული ქვედანაყოფები და თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნება
<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>
<b>გამგეობის თანამდებობის პირები</b>		
1	გამგებელი	1
2	გამგებლის პირველი მოადგილე	1
3	გამგებლის მოადგილე	1
<b>ს უ ლ</b>		<b>3</b>
<b>გამგეობის აპარატი</b>		
1	აპარატის უფროსი	1
2	გამგებლის თანაშემწე	1
3	მთ. სპეციალისტი	2
4	წამყვანი სპეციალისტი	3
5	უფროსი სპეციალისტი	2
6	ტექნიკური მუშაკები	2

<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>
<b>საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება</b>		
7	განყოფილების უფროსი	1
8	მთავარი სპეციალისტი	1
<b>ს უ ლ</b>		<b>13</b>
<b>გამგეობის სამსახურები</b>		
<b>I. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
<b>საბიუჯეტო განყოფილება</b>		
2	განყოფილების უფროსი	1
3	მთავარი სპეციალისტი	2
4	წამყვანი სპეციალისტი	1
<b>პირველადი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება</b>		
5	განყოფილების უფროსი	1
6	მთავარი სპეციალისტი	1
7	უფროსი სპეციალისტი	1
<b>სულ</b>		<b>8</b>
<b>II. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
2	უფროსი სპეციალისტი	1
<b>მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება</b>		
3	განყოფილების უფროსი	1
4	მთავარი სპეციალისტი	3
5	წამყვანი სპეციალისტი	2
6	უფროსი სპეციალისტი	1
<b>მშენებლობის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, ურბანული დაგეგმარებისა და ინსპექტირების განყოფილება</b>		
7	განყოფილების უფროსი	1
8	მთავარი სპეციალისტი	2
9	წამყვანი სპეციალისტი	1
<b>ს უ ლ</b>		<b>13</b>
<b>III. კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	3
3	წამყვანი სპეციალისტი	2
<b>ს უ ლ:</b>		<b>6</b>
<b>IV შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული პირების საქმეთა სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1

<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>
2	მთავარი სპეციალისტი	2
3	წამყვანი სპეციალისტი	2
<b>სულ</b>		<b>5</b>
<b>V. ტერიტორიული მართვის ორგანოები</b>		
1	გამგებლის რწმუნებულები	21
2	წამყვანი სპეციალისტი	1
3	სპეციალისტი	43
<b>სულ</b>		<b>65</b>
<b>VI. დელეგირებული სამსახურები</b>		
<b>I. წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური.</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	3
3	წამყვანი სპეციალისტი	2
4	უფროსი სპეციალისტი	2
<b>სულ:</b>		<b>8</b>
<b>II. სახანძრო დაცვის სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
2	მთ. სპეციალისტი	1
3	სპეციალისტი სახანძრო ზედამხედველობის დარგში	1
<b>სანძარსაწინააღმდეგო განყოფილება</b>		
4	განყოფილების უფროსი	1
5	რაზმის უფროსი (უფროსი სპეციალისტი)	4
6	მძლელი (სპეციალისტი)	8
7	მეხანძრე (სპეციალისტი)	12
8	მეელსმენე (სპეციალისტი)	4
<b>სამაშველო განყოფილება</b>		
9	განყოფილების უფროსი	1
10	მაშველი (სპეციალისტი)	2
<b>ს უ ლ:</b>		<b>35</b>
<b>ჯ ა მ ი ს უ ლ :</b>		<b>156</b>

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №88

ქ. ხობი

2008 წლის 28 თებერვალი

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“-ს დაფუძნებისა და  
წესდების დამტკიცების შესახებ

„აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული  
კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე:

1. დაფუძნდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხობი  
დასუფთავება და განათება“.
2. დამტკიცდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხობი  
დასუფთავება და განათება“-ს თანდართული წესდება.
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხობი დასუფთავება და  
განათება“-ს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ვალდებულება  
დაეკისროს საზოგადოების დირექტორს.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს  
ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ  
სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**შეზღუდული პასუხისმგებლობის სამოგადოება**

**„ხობი დასუფთავება და განათება“**

**წ ე ს დ ე ბ ა**

ქ. ხობი

2008 წლის 28 თებერვალი



**შებლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხობი დასუფთავება და განათება“, დაფუძნებულია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად**

## 1. საზოგადოება

1.1. ეს საზოგადოება არის შებლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

1.2. საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა: „ხობი დასუფთავება და განათება“ შებლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შ.პ.ს. „ხობი დასუფთავება და განათება“).

1.3. საზოგადოების ადგილსამყოფელია: ქ. ხობი, ცოგნე დადიანის ქ. № 189.

1.4. საზოგადოება წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

1.5. სამეურნეო წელი არის კალენდარული წელი. წელი საზოგადოების რეგისტრაციიდან რეგისტრაციის წლის 31 დეკემბრამდე შეადგენს არასრულ სამეურნეო წელს.

1.6. საზოგადოების საქმიანობის საგანია:

– კომუნალურ მომსახურეობასა (ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გაგანა) და განათების მოვლა-პატრონობის (ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოვლა პატრონობა) საქმიანობის განხორციელება.

– სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულება;

– ბუნების დაცვითი საქმიანობა;

– ყველა სახის საგრანსპორტო მომსახურეობა;

– მოსახლეობის საგრანსპორტო საშუალებებით მომსახურეობა;

– საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს, და მიიღოს მონაწილეობა იგივე ან მსგავსი მიზნების მქონე საზოგადოებების საქმიანობაში;

– საზოგადოებას უფლება აქვს განახორციელოს ყველა სახის საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს მისი მიზნებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ამ წესდებას.

## 2. სამოგადოების დამფუძნებელი. საწესდებო კაპიტალი

2.1. საზოგადოების დამფუძნებელია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის გამგეობის წარდგინებით.

2.2. სამოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შეფასებულ 172000 (ასსამოცდათორმეციათასი) ლარის ღირებულების ქონებას კერძოდ:

დასახელება	მოდელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი	სულ თანხა ლარი
სპეციალიზებული ა/მ ნაგავმზიდი - "ლაფ"	AAS75PCA	1 ცალი	95 000	95 000
სპეციალური ა/მ "კირაფი" - "ფავ"	CA1041K261.2R5	1 ცალი	60 000	60 000
მოტოროლერი ბორტიანი - "კევესევი"	HF 150 ZH-2	3 ცალი	4 000	12 000
ნაგვის კონტეინერი 120 ლიტრიანი		20	120	2 400
ნაგვის კონტეინერი 240 ლიტრიანი		150	180	27 000
ნაგვის კონტეინერი 50 ლიტრიანი		250	80	20 000
<b>სულ ჯამი</b>				<b>216 400</b>

2.3. საწესდებო კაპიტალის 100% ეკუთვნის ხობის მუნიციპალიტეტს. ვიდრე წილთა 100% სამოგადოებაში ეკუთვნის ხობის მუნიციპალიტეტს, იგი სამოგადოების კრების ფუნქციებს ახორციელებს ერთპიროვნულად.

## 3. სამოგადოების კრება

3.1. სამოგადოების კრება არის სამოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო, რომელიც გარდება სამოგადოების ადგილსამყოფელზე. პარტნიორებისათვის წლიური ანგარიშის გადაგზავნიდან სამი თვის ვადაში გარდება სამოგადოების მორიგი კრება. მას იწვევს ღირეჭკორი დაზღვეული წერილის, ფაქსის ან გელეგრაფის მეშვეობით ოთხი კვირის ვადაში განსახილველი დღის წესრიგის მითითებით.

3.2. ღირეჭკორი ვალდებულია მოიწვიოს პარტნიორთა რიგგარეშე კრება, თუ სამოგადოების ინტერესები მოითხოვს ან სამოგადოების წილთა, სულ ცოცა 10% მფლობელი პარტნიორები კრების მიზნის მითითებით და შესაბამისი დასაბუთებით მოითხოვენ მის მოწვევას. თუ ღირეჭკორი ექვსი კვირის ვადაში არ დააკმაყოფილეს ამ მოთხოვნას, პარტნიორებს დამოუკიდებლად შეუძლიათ მოიწვიონ კრება 43.1 პუნქტით განსაზღვრული ფორმითა და ვადაში.

3.3. სამოგადოების კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია საწესდებო კაპიტალის 51%. თუ სამოგადოების კრება არ არის

გადაწყვეტილება უნარიანი, ორი კვირის ვადაში მოწვეულ უნდა იქნეს მეორე კრება იმავე დღის წესრიგით. ეს კრება გადაწყვეტილება უნარიანია მიუხედავად მასში წარმოდგენილი საწესდებო კაპიტალისა; ამის შესახებ მითითებული უნდა იყოს მოსაწვევში.

3.4. თუ ეს წესდება ან კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს, გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე ან წარმოდგენილი პარტნიორების ხმათა უბრალო უმრავლესობით. კაპიტალში მონაწილეობის ყოველი 1% უდრის ერთ ხმას.

3.5. ყოველი პარტნიორი შეიძლება წერილობითი მინდობილობის საფუძველზე პარტნიორთა კრებაზე წარმოდგენილი იყოს სხვა პარტნიორით.

3.6. გადაწყვეტილებები შეიძლება მიღებულ იქნეს მიმოწერის გზით, ასევე ბეპირად და ტელეფონით, თუკი ამ ორი უკანასკნელი შემთხვევისათვის წერილობითი თანხმობა წინასწარ გამზადებულია. თუ რომელიმე პარტნიორი არ ეთანხმება ამ პროცედურას, მაშინ უნდა ჩაგარდეს საზოგადოების რიგგარეშე კრება.

3.7. საზოგადოების კრების გადაწყვეტილებების და მონაწილეთა განსაკუთრებული აზრის გამო დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს თავჯდომარე და ეგზავნება ყველა პარტნიორს.

3.8. საზოგადოების კრების კომპენჯენციას წარმოადგენს:

ა) წლიური ანგარიშის შემოწმება და მიღება. ასევე სამეურნეო შედეგების განაწილება;

ბ) დირექტორის დანიშვნა, ან აღნიშნულზე პირისათვის უფლებამოსილების მინიჭება;

გ) დირექტორის გამოწვევა და მათი ანგარიშების დამტკიცება;

დ) დირექტორთან სასამსახურო ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, ან აღნიშნულზე პირისათვის უფლებამოსილების მინიჭება;

ე) იმ დამატებითი მოთხოვნების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას აქვს დირექტორის ან მისი მოადგილის მიმართ, აგრეთვე წარმომადგენლის დანიშვნა პროცესის საწარმოებლად, თუ არ შეიძლება, რომ საზოგადოება წარმოდგენილი იყოს დირექტორით;

ვ) საზოგადოების წესდების შეცვლა, განსაკუთრებით, საზოგადოების მიზნების გაფართოება ან კაპიტალის შემცირება ანდა გაზრდა;

გ) საზოგადოების მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისება;

ზ) კანონით ან წესდებით პარტნიორთა კრებისათვის დაკისრებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.

3.9. გადაწყვეტილებები 4.8. პუნქტის ა, ე, ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება ერთხმად.

3.10. ყოველ პარტნიორს შეუძლია, თუ კანონით ეს დასაშვებია, საკუთარ საქმეებშიც გამოიყენოს თავისი ხმის უფლება.

#### **4. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა**

4.1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს, რომელიც ინიშნება საზოგადოების კრების მიერ ან კრების გადაწყვეტილებით აღნიშნულზე უფლებამოსილება მინიჭებული პირის მიერ. საზოგადოებას იგი წარმოადგენს ერთპიროვნულად.

4.2. მმართველობის მიმდინარე საქმეების შესრულება ეკისრება დირექტორს საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ. სხვა შემთხვევებში საჭიროა საზოგადოების კრების წინასწარი გადაწყვეტილება. მათ მიეკუთვნება შემდეგი საქმეები:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დაგვირთვა;
- ბ) სხვა საზოგადოებებში მონაწილეობა, ასევე ფილიალების დაარსება და მათი დახურვა;
- გ) გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების დამყარება 12 თვეზე მეტი ვადით ან საფინანსო ვალდებულებების აღება ბიუჯეტის 10%-ზე მეტი თანხით;
- დ) წლიური ბიუჯეტის შედგენა; ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს ასევე გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებს;
- ე) დადგენილი წლიური ბიუჯეტის 15%-ზე მეტი გადახრები დაფინანსების, ხარჯების და ინვენსტიციების სფეროში;
- ვ) სავაჭრო მინდობილობებისა და პროკურების გადაცემა და გაუქმება;
- ზ) სხვა საქმეები, რომლებიც სცილდებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და უგოლდებიან მემოჩამოთვლილ საქმეებს.

4.3. საზოგადოების კრება უფლებამოსილია მიიღოს შინაგანაწესი დირექტორისათვის, რომელშიც დაწვრილებით იქნება მისი კომპეტენცია განსაზღვრული.

4.4. დირექტორი წარუდგენს საზოგადოების კრებას ინფორმაციას, კერძოდ:

- ა) სავარაუდო სამეურნეო პოლიტიკის შესახებ და მომავალში ხელმძღვანელობის სხვა პრინციპულ საკითხებზე (წელიწადში სულ ცოცხა ერთხელ მაინც);
- ბ) საზოგადოების რენტაბელობის შესახებ პარტნიორთა ყოველ კრებაზე, რომელზეც იხილება წლიური ანგარიშის საკითხები;
- გ) საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ, კერძოდ, ბრუნვისა და საზოგადოების მდგომარეობის შესახებ (ყოველკვარტალურად);

დ) საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ დამფუძნებლის მოთხოვნის შესაბამისად;

ე) იმ საქმეების შესახებ, რომელთაც საზოგადოების რენგაბელობის ან ლიკვიდურობისათვის დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ;

ვ) საზოგადოების კრებას უნდა ეცნობოს საზოგადოების სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ.

4.5. დირექტორი უფლებამოსილია:

ა) აიღოს სესხი და კრედიტი დამფუძნებლებთან შეთანხმებით;

ე) წესდებისა და საზოგადოების კრების შესაბამისად დადეს ხელშეკრულებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ვ) სამუშაოზე მიიღოს და გაანთავისუფლოს თანამშრომლები;

ზ) მოაწეროს ხელი საზოგადოების ყველა საქმიან წერილზე.

4.6. დირექტორს კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვს პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო; აღნიშნული ვალდებულება ცალკე ხელშეკრულებით შეიძლება ძალაში დარჩეს ამ პირთა თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც, მაგრამ არა უმეტეს 3 წლის ვადით.

4.7. დირექტორი დამფუძნებლის მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და გააცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

4.8. დირექტორს უფლება არა აქვს დამფუძნებლის თანხმობის გარეშე განახორციელოს იგივე საქმიანობა, რასაც ეწევა საზოგადოება, ან მიიღოს მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. ასეთ საქმიანობაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას დამფუძნებლისთვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.

## **5. წლიური ანგარიში და შედეგების განაწილება**

5.1. წლიურ ანგარიშს ადგენს დირექტორი. წლიური ანგარიში ღება სამეურნეო წლის დამთავრებიდან სამი თვის განვალლობაში და წარედგინება საზოგადოების კრებას.

5.2. საზოგადოების კრება წლიური ანგარიშის მოსმენის შემდეგ ამტკიცებს წლიურ ანგარიშს და შედეგების გამოყენებას.

## **6. საზოგადოების ლიკვიდაცია**

საზოგადოების ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

## **7. დასკვნითი დებულებები**

თუ ამ წესდების რომელიმე განსაზღვრება გახდა ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად წესდების ნამდვილობაზე, უფრო მუსტად, ბათილი განსაზღვრების ნაცვლად მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დასახული ეკონომიკური მიზანი. კანონისმიერი განსაზღვრებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ. იგივე წესი მოქმედებს, თუ წესდებას აქვს ხარვეზი.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

---

განკარგულება №89

ქ. ხობი

2008 წლის 28 თებერვალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხობი დასუფთავება და განათება“-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და შპს „ხობი დასუფთავება და განათება“-ს დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის №88 განკარგულების თანახმად:

1. შპს „ხობი დასუფთავება და განათება“-ს წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიენიჭოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს რობერტ გეიჩიას.
2. შპს „ხობი დასუფთავება და განათება“-ს წარმომადგენლობის უფლებამოსილ პირს მიენიჭოს საზოგადოების დირექტორის დანიშვნის უფლება.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოსონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №90

ქ. ხობი

2008 წლის 31 მარტი

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის №22  
განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული  
კანონისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის 28 მარტის №153  
წერილის შესაბამისად, „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის  
დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21  
დეკემბრის №22 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. განკარგულების დანართის VI პუნქტის II ქვეპუნქტში სამსახურის დასახელება შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  - ა) „სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192)

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი:

/რ. წულაია/





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

---

განკარგულება №91

ქ. ხობი

2008 წლის 31 მარტი

„სოფელ ახალსოფლის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო გეგმის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №72 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე „სოფელ ახალსოფლის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო გეგმის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №72 განკარგულების №1 დანართის მე-5 და მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №91 განკარგულების დანართი №1

სოფელ ახალსოფლის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნუსხა

№	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა (ადმინისტრაციული ერთეული)	მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო ნომერი (რუქის შესაბამისად)	სავარგულის ტიპი	ფართობი ჰა-ში	ხარისხობრივი მანქანა (კარგი/შუა)	მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ლარებში	მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონების დასახელება	მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონების ლირებულეზა ლარებში	საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი სულ ლარებში	"ბე" მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის 30%
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ახალსოფელი	002	სასოფლო-სამეურნეო	3,27	კარგი	215,82	–	0	215,82	64,75
2	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ახალსოფელი	003	სასოფლო-სამეურნეო	8,53	კარგი	562,98	–	0	562,98	168,89
3	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ახალსოფელი	004	სასოფლო-სამეურნეო	8,20	კარგი	541,20	–	0	541,20	162,36
4	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ახალსოფელი	008	სასოფლო-სამეურნეო	11,08	კარგი	731,28	–	0	731,28	219,38

2. განკარგულება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192)

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი:

/რ. წულაია/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №92

ქ. ხობი

2008 წლის 31 მარტი

„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხობი დასუფთავება და განათება“-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ“

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის №89

განკარგულებაში ცვლილებების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და შპს „ხობი დასუფთავება და განათება“-ს დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის №88 განკარგულების თანახმად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 მარტის №89 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. განკარგულების სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  - ა) „შპს „ხობი დასუფთავება და განათება“-ს დირექტორის დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის შესახებ“.
2. განკარგულების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  - ა) „1. შპს „ხობი დასუფთავება და განათება“-ს დირექტორის დანიშვნის უფლებამოსილება მიენიჭოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს“.
3. განკარგულების მეორე პუნქტი ამოღებულ იქნეს.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. №192).

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი:

/რ. წულაია/



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №93**

**ქ. ხობი**

**2008 წლის 30 აპრილი**

**„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“  
 ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის  
 №22 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატებების თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2008 წლის 17 აპრილის №223 წერილის შესაბამისად, „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2006 წლის 21 დეკემბრის №22 განკარგულების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. გამგეობის აპარატს დაემატოს 6 საშტატო ერთეული, ტერიტორიული მართვის ორგანოებს – 5 საშტატო ერთეული და განკარგულების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურა**

№	სტრუქტურული ქვედანაყოფები და თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნება
1	2	3
<b>გამგეობის თანამდებობის პირები</b>		
1	გამგებელი	1
2	გამგებლის პირველი მოადგილე	1
3	გამგებლის მოადგილე	1
<b>ს უ ლ</b>		<b>3</b>

<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>
<b>გამგეობის აპარატი</b>		
1	აპარატის უფროსი	1
2	გამგებლის თანაშემწე	1
3	მთ. სპეციალისტი	2
4	წამყვანი სპეციალისტი	6
5	უფროსი სპეციალისტი	4
6	ტექნიკური მუშაკები	2
<b>საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება</b>		
7	განყოფილების უფროსი	1
8	მთავარი სპეციალისტი	1
9	წამყვანი სპეციალისტი	1
<b>ს უ ლ</b>		<b>19</b>
<b>გამგეობის სამსახურები</b>		
<b>I. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
<b>საბიუჯეტო განყოფილება</b>		
2	განყოფილების უფროსი	1
3	მთავარი სპეციალისტი	2
4	წამყვანი სპეციალისტი	1
<b>პირველადი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილება</b>		
5	განყოფილების უფროსი	1
6	მთავარი სპეციალისტი	1
7	უფროსი სპეციალისტი	1
<b>ს უ ლ</b>		<b>8</b>
<b>II. ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური</b>		
1	სამსახურის უფროსი	1
2	უფროსი სპეციალისტი	1
<b>მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება</b>		
3	განყოფილების უფროსი	1
4	მთავარი სპეციალისტი	3
5	წამყვანი სპეციალისტი	2
6	უფროსი სპეციალისტი	1
